



HEMPADUR FAST DRY 15560

15560: BASE 15569 : CURING AGENT 97560

აღწერილობა: HEMPADUR FAST DRY 15560 ორკომპონენტური სწრაფად შრობადი ეპოქსიდური ცინკის ფოსფატის შემცველი გრუნტი, რომელიც გამოიყენება მაშინ, როცა მნიშვნელოვანია ზედაპირის საიმედო დაცვა მტკიცე საფარით და სწრაფად გაშრობა (მაგ. ქარხნულ პირობებში). გამოიყენება მაღალ აგრესიულ გარემოში.

რეკომენდაცია გამოყენებისათვის: გამოიყენება როგორც სწრაფად შრობადი გრუნტი ან შუალედური ფენა HEMPADUR სისტემებში, როდესაც საჭიროა ზედაპირის შემდეგი ფენით სწრაფად დაფარვა. ასევე გამოიყენება მშენებლობებში, როდესაც მნიშვნელოვანია აქროლად ნივთიერებათა რაოდენობის ნორმები.

მიწოდება: ჩართულია საერთო ასორტიმენტში. მიწოდება ხორციელდება წინასწარი შეკვეთით.

ფიზიკური მახასიათებლები:

- ფერის ნომერი/ფერი: 12170* / ნაცრისფერი
- შესახედაობა: გლუვი
- მშრალი ნაშთი, %: 62 ± 1
- თეორიული ხარჯი: 6.2 მ²/π [248.6 sq.ft./US gallon] - 100 მკმ/4 მილ
- კრიტიკული წერტილი: 27 °C [80.6 °F]
- ხვედრითი წონა: 1.4 კგ/ლ [11.9 ფუნტი/US გალონი]
- გამაგრება: დაახლოებით 1-1,5 საათი
- აქროლად ნივთიერებათა რაოდენობა: 351 გ/ლ [2.9 ფუნტი/US გალონი]

**ფერთა ფართო არჩევანი ხელმისაწვდომია.*

დაფარვა:

- პროდუქტის ნომერი:** 15560
- შერევის პროპორციები:** BASE 15569 : CURING AGENT 97560
4 : 1 მოცულობით
- დაფარვის მეთოდი:** უჰაერო გაანტვა/ფუნჯი
- გამხსნელი:** 08450 (5%) / 08450 (15%) / 08450 (5%)
- საფარის სისქე, მშრალი:** 100 მკმ [4 მილ]
- საფარის სისქე, სველი:** 175 მკმ [7 მილ]

უსაფრთხოების მეთოდები: აუცილებელია ეტიკეტსა და შეფუთვაზე მითითებული უსაფრთხოების წესების დაცვა.

ზედაპირის შესაღებად მომზადება:

აუცილებელია ახალი ფოლადი გაწმენდილ იქნას ყველანაირი ზეთის, ცხიმისა და მარილისგან შესაბამისი მასალით. ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჟანგს.

დაფარვის პირობები:

აუცილებელია ზედაპირი იყოს მშრალი, გაწმენდილი და დამუშავებული შესაბამისი მასალით. ტემპერატურა შეღებვისას უნდა იყოს 0°C-ზე მეტი, ხოლო თვითონ საღებავის ტემპერატურა 15°C და მეტი. დახურულ სივრცეებში აუცილებელია ვენტილაციის უზრუნველყოფა ღებვის პროცესში.